საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 760

17 09 2015 წ.

ქ. თბილისი

„აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 30 აპრილის №145 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 30 აპრილის №145 ბრძანებაში და:

ა) დანართი №1 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) დანართი №2 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) დანართი №3 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ. №6).

დირექტორი გიორგი შარვაშიძე

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT * LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW 202330566